ოქმი:**ო63.6322271001**
თარიღი:**28/09/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 40

ქ. სამტრედია. 28 სექტემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 28 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ნათია პაპავას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე მ.შ., ტარიელ ცომაია, ლიზა კრავეიშვილი მ.შ., ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსული წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნათია პაპავა/

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიას, განცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ნათია პაპავა/

3. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვა.

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 26 სექტემბრის** N: 62-6222269133, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ, მდებარე მოედნისთვის, ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ'', განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N: 62-6222269133, 26/09/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6322270001-63 27/09/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

2. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 28 სექტემბრის** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე სამედიცინო ამბულატორიისთვის, რევაზ სალაყაიას, სახელის მინიჭების საკითხს.

(მომართვის 62-622227056, 28/09/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6322271001-63, 28/09/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

3. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიას, 2022 წლის 27 სექტემბრის** განცხადება. ***განმცხადებელი*** ითხოვს, 2022 წლის 1 ნოემბრიდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას, 24 სამუშაო დღით.

(განცხადების რეგისტრაციის N: 63-63222702, 27/09/2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი